



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

29 ივლისი 2024



N 21/7918

შპს „სტანდარტს“

მის: ქ. თბილისი, კრწანისის ქუჩა, II შესახვევი,
N15, კორპუსი N3, ბინა N50ა
ელ. ფოსტა: Giobuka123@gmail.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენილი N4433 განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, ნარჩენი ზეთების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოსა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია ქ. რუსთავში, ჯავახიშვილის ქუჩა N9-ში, სს „სარინის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 23400 მ² ფართობის მიწის ნაკვეთზე (ს/კ 02.05.03.698), რომლითაც შპს „სტანდარტი“ სარგებლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. ვინაიდან, თანდართული იჯარის ხელშეკრულების თანახმად, შპს „სტანდარტი“ იჯარით სარგებლობს ნაკვეთის მხოლოდ ნაწილით (1000 მ² ფართობი), წარმოდგენილი Shp ფაილები უნდა მოიცავდეს აღნიშნული საპროექტო ტერიტორიის საზღვრებს/კონტურს;
- N16 სკოპინგის დასკვნის თანახმად, გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ობიექტის სიახლოვეს (განსაკუთრებით 500-მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოო ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილების და საქმიანობის მითითებით). მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 450 მეტრში მდებარეობს შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ (ს/კ: 02.05.03.372) ფოლადის სადნობი საწარმო, ხოლო 260 მეტრში შპს „ფოლადკონსტრუქციის“ (ს/კ: 02.05.03.098) ლითონის ან/და მეტალო-პლასტმასის დამამუშავების, ლითონის კონსტრუქციების საწარმო და შპს „ჯი ტრანსი“ (02.05.03.747), რომლებიც არ არის ასახული გზშ-ის ანგარიშში. ამასთან, არ არის მითითებული დაშორების მანძილები და ობიექტების საქმიანობა. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული საწარმოები ასევე არ არის გათვალისწინებული კუმულაციური ზემოქმედების ნაწილში, რაც საჭიროებს დაზუსტებას და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გადამამუშავებულ პროექტში ასახვას;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ტექნოლოგიური ხაზი ითვალისწინებს ტუმბოს (წარმადობით 30 მ³/სთ) ფუნქციონირებას, რომელიც გამოიყენება მიმღები ცისტერნებიდან ნამუშევარი ზეთების

გადასაქაჩად რეაქტორში. გამომდინარე აქედან, აღნიშნული დანადგარი წარმოადგენს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარულ წყაროს, რომელიც ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების ნაწილში არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, გათვალისწინებული უნდა იქნეს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ყველა სტაციონარული წყარო და ასახული უნდა იქნეს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გადამუშავებულ პროექტში;

- წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია ხმაურით გამოწვეული მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშის ტექნოლოგიური ალტერნატივების თავში აღწერილია გამოყენებული ზეთების აღდგენის რამდენიმე მეთოდი, თავისი მახასიათებლებით და უპირატესობებით. ამავე თავში აღნიშნულია, რომ საპროექტო საწარმოში დაგეგმილია მეთოდის გამოყენება, რა დროსაც დაგეგმილი ტექნოლოგიური პროცესი ითვალისწინებს გადასამუშავებელი ზეთის გაცხელებას გარკვეულ ტემპერატურაზე, რომლის დროსაც ემატება ბენტონიტი. გარემოსდაცვითი თვალსაზრისით დასაბუთებულ უნდა იქნას შერჩეული ტექნოლოგიის უპირატესობა;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენებული დანადგარ-მოწყობილობები არის დამზადებული სპეც-შეკვეთით, შესაბამისად, მათი საპასპორტო მონაცემები არ არსებობს. დაზუსტებას საჭიროებს დანადგარ-მოწყობილობების შესახებ ინფორმაცია (მაგ. დანადგარის მწარმოებელი, ტექნიკური მახასიათებლები და სხვა), ასევე მათი უსაფრთხო ექსპლუატაციის საკითხი;
- გზშ-ის ანგარიშის 4.2.1 ქვეთავში აღნიშნულია, რომ „საპროექტო აგრეგატში შესაძლებელია ნებისმიერი ტექნიკური ზეთის რეგენერაცია, მათ შორის აღდგენილი იქნება: ნარჩენი ჰიდრავლიკური ზეთები; სატრანსფორმატორო ზეთები; ტურბინების ზეთები; საავტომობილო ზეთები და სხვა.“ ხოლო გადასამუშავებელი ნარჩენების ჩამონათვალი მოცემულია მხოლოდ კოდების სახით. გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია გადასამუშავებელი ნარჩენების შესახებ როგორც კოდები, ასევე დასახელება „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების შესაბამისად. ამასთან, გზშ-ის ანგარიშში მოცემული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია და საქმიანობის მასშტაბი შესაბამისობაში უნდა იყოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმაში მითითებულ ინფორმაციასთან (ნარჩენის კოდი, დასახელება, რაოდენობა, აღდგენა-განთავსების ოპერაცია და ა.შ). ასევე დაზუსტებული უნდა იყოს წარმოქმნილი ნარჩენების შემდგომი მართვის საკითხები;
- 4.2.1 ქვეთავში მოცემული ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ობიექტზე დაგეგმილი არ არის პქბ-ის შემცველი ნარჩენი ზეთების მიღება-დროებითი განთავსება და აღდგენა. დაზუსტებას საჭიროებს პქბ-ის შემცველი ზეთის იდენტიფიცირების რა საშუალებებს (ტექნოლოგიური პროცესი ან სხვა) გამოიყენებს საწარმო;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მოწყობითი/სამონტაჟო სამუშაოები არ იქნება დაკავშირებული გრძელვადიან და ფართო მასშტაბიან სამშენებლო სამუშაოების წარმოებასთან. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი უნდა იქნას მშენებლობის/მოწყობის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების (კოდები, დასახელება, რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიება) შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ნარჩენი ზეთის წარმოქმნის ლოკაციიდან საწარმოო ობიექტამდე სახიფათო ნარჩენი ზეთების შემოტანა მოხდება შესაბამის ნებართვის მქონე სატრანსპორტო საშუალებებით. წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია იმ კომპანიის შესახებ, რომელიც განახორციელებს შპს „სტანდარტის“ ტერიტორიაზე ნარჩენი ზეთების შემოტანას საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N144 „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი

დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“ დადგენილების შესაბამისად;

- წარმოდგენილი უნდა იქნას დეტალური აღწერილობა/ინფორმაცია ნარჩენების (განსაკუთრებით სახიფათო ნარჩენების) დროებითი შენახვის პირობების შესახებ, „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N145 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. მათ შორის, დაზუსტებას საჭიროებს ერთდროულად რა რაოდენობის ნედლეულის (ნარჩენი ზეთის) განთავსება დაგეგმილი ტერიტორიაზე. გარდა ამისა, დაზუსტებას საჭიროებს წელიწადში გამოყენებული ნედლეულის (ნარჩენი ზეთის) რაოდენობა;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ნარჩენი ზეთით საწარმოო ობიექტის მომარაგება დაგეგმილია ადგილობრივი ბაზრიდან. ამასთან, ტექნოლოგიურ ნაწილში აღნიშნულია, რომ დღეში 4 მ³ მოცულობის ნარჩენი ზეთის გადამუშავების შედეგად მიიღება მაქსიმუმ 3 მ³ (ნარჩენი ზეთის 90%). შესაბამისად, თვის განმავლობაში მიღებული პროდუქციის რაოდენობა განისაზღვრა 66 მ³, ხოლო წელიწადში დაახლოებით 780 - 792 მ³ სუფთა ზეთი. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს რა სისტემითაა დაგეგმილი ადგილობრივი ბაზრიდან შესაბამისი რაოდენობის ზეთის შეგროვება/შემოტანა. ამასთან, გაცნობებთ, რომ 4 მ³ მოცულობის ნარჩენი ზეთის 90% შეადგენს დაახლოებით 3.6 მ³-ს, შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს მიღებული პროდუქციის რაოდენობა ან/და ზემოაღნიშნული გაანგარიშება. გარდა ამისა, წარმოდგენილ უნდა იქნას ინფორმაცია რა სახის ტექნოლოგიური პროცესი იძლევა ნარჩენის აღდგენა/გადამუშავების შედეგად 90% პროდუქტის მიღებას;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ნამუშევარი ზეთები ტუმბოს მეშვეობით იტვირთება საპროექტო მიწისზედა ცისტერნებში/ავზებში, სადაც თითოეული ავზის მოცულობა შეადგენს 54 მ³-ს. თუმცა დოკუმენტაციაში არ არის მითითებული ავზების რაოდენობა, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „საწარმოს ბენტონიტი მიეწოდება ირანიდან, 25-27 კგ დაფასოებული ტომრების სახით და თავსდება შესაბამის საწყობებში. ბენტონიტის თითო საწყობი წარმოადგენს 2 ცალ 30 ტონიან კონტეინერს, რომელშიც თავისუფლად თავსდება ერთჯერადად შემოტანილი 22-24 ტონა ბენტონიტი.“ დაზუსტებას საჭიროებს საწარმოში განსათავსებელი საწყობების რაოდენობა და სრული მოცულობა;
- წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია სასმელ-სამეურნეო, საწარმოო და ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულებით გამოყენებული, ასევე ჩამდინარე წყლების რაოდენობების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დაბინძურებული საწარმოო და სანიაღვრე წყლების გაწმენდის მიზნით საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია ორკამერიანი ნავთობდამჭერი-სეპარატორის მოწყობა. წარმოდგენილ უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია ნავთობსეპარატორის შესახებ (ეფექტურობა, ფიზიკური მახასიათებლები, გაწმენდის პირობები და პერიოდულობა, ნავთობსეპარატორის გაწმენდის შედეგად მიღებული ნალექის მართვის საკითხები);
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმოო ობიექტის ტექნოლოგიური დანადგარების უმრავლესობა განთავსდება მობეტონებულ ტერიტორიაზე, კაპიტალურად გადახურულ ფართობზე. თუმცა, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2024 წლის 15 იანვარს განხორციელებული ინსპექტირების, ასევე საჯარო განხილვაზე საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოო ობიექტის ტექნოლოგიური დანადგარების ნაწილი მოწყობილია საწარმოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია საწარმოში არსებული მდგომარეობისა და დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესახებ;

გარდა ამისა, გაცნობებთ, რომ ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 4 ივლისის N38-3824186135 წერილის შესაბამისად საპროექტო ტერიტორიის მიწის ნაკვეთი/საკადასტრო ერთეული ქ. რუსთავი, ჯავახიშვილის ქ. N9 (ს.კ. 02.05.03.698) „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილების კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის შესაბამისად მდებარეობს საწარმოო ზონა (იზ-1)-ში. დადგენილების შესაბამისად საწარმოო ზონა (იზ-1) განისაზღვრება, როგორც სამეწარმეო ზონა, რომელიც არის ინდუსტრიული ზონის ქვეზონა, სადაც დომინირებს საწარმოო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები. ნებადართული სახეობებია: საწარმოო ობიექტი; ღია და დახურული საწყობი; ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების ობიექტი. საგამონაკლისო წესით: შეიძლება ასევე დასაშვები იყოს სხვა არამავნე მრეწველობის ობიექტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აღნიშნულ ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელება საჭიროებს ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებას, მიწის ნაკვეთზე (ს/კ 02.05.03.698) ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით.

დანართის სახით გიგზავნით ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 4 ივლისის N38-3824186135 წერილს და გზმ-ის ანგარიშთან დაკავშირებით სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილ მოსაზრებებსა და შენიშვნებს. წარმოდგენილ უნდა იქნეს აღნიშნული მოსაზრებებისა და შენიშვნების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია/დოკუმენტაცია შესაბამისი ცხრილის სახით.

გთხოვთ, 2 თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/7918-21-2-202407291730>

